ღონისძიების შესახებ

მოგესალმებით „უსმა / USMA“-ს სახელით და უდიდეს მადლობას გიხდით წლების განმავლობაში ჩვენ ასოციაციაციასთან აქტიური თანამშრომლობისათვის.

ჩვენ ასოციაციას წელს 5 წელი შეუსრულდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ ერთად ვცდილობდით შეგვექმნა სივრცე,

სადაც ერთმანეთს ხვდება მეცნიერება, კულტურა, ეროვნული უსაფრთხოება და საზოგადოების საერთო ინტერესები.

მინდა მოგიწვიოთ ჩვენი ასოციაციისა (იხ.USMA.GE) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე: ,,კულტურული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები". ღონისძიება საიუბილეოა-ეძღვნება უსმას დაარსების 5 წელს.

ღონისძიება ტარდება საქართველოს მწერალთა სახლის თანადგომით. ღონისძიება გაიმართება 20 ნოემბერს 14 საათზე, მწერალთა სახლში (იხილეთ მოსაწვევი)

ჩვენი მიზანია, არა მხოლოდ წარვადგინოთ ახალი წიგნები და მნიშვნელოვანი კვლევები, არამედ დავიწყოთ საუბარი იმაზე, თუ რა საფუძველს ემყარება საქართველოს კულტურული უსაფრთხოება XXI საუკუნის პირველ ნახევარში.

კულტურული უსაფრთხოება მხოლოდ დარგობრივი ტერმინი აღარ არის — ეს არის სახელმწიფოს მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი. ეს ნიშნავს ჩვენი ენის, ტრადიციების, ისტორიული მეხსიერების, სივრცის, საერთაშორისო რეპუტაციის და მთლიანად კულტურული გარემოს დაცვასა და გაძლიერებას. სწორედ ამიტომ, ღონისძიებაზე წარმოგიდგენთ კულტურული უსაფრთხოების სტრატეგიის მოკლე კონცეფციას, რომელიც USMA-ს სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა. ეს დოკუმენტი იქნება ჩვენი საქმიანობის საძირკველი და გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა

ღონისძიებაზე გაიმართება დისკუსია. გაკეთდება საინტერესო მოხსენება :,, ცივილიზაციათა შეჯახება თუ შეხვედრა.ორჰან ფამუკის რომანი ,,თეთრი ციხესიმაგრე" {მომხსენებელი:მწერალი, მთარგმნელი,აღმოსავლეთმცოდნე, უსმას პრეზიდიუმის წევრი ქეთევან ტომარაძე)

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ღონისძიებაზე წარმოგიდგენთ რამდენიმე გამორჩეულ წიგნსაც:

✓ გია მეფარიშვილის „ღვინის სამართალი“ — არა მხოლოდ სამართლებრივი ნაშრომია, არამედ კულტურისა და ეკონომიკის გადაკვეთაზე მდგომი ფუნდამენტური ტექსტი, რომელიც ასახავს ქართული ღვინის ისტორიულ და თანამედროვეობრივ წვლილს, მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტებს;

✓ ტონინო გუერა, „თბილი წვიმა“,(იტალიურიდან თარგმნა ქეთევან

ტომარაძემ, იტალიური ენის კონსულტანტი ქეთევან გაგოშიძე.)

პოსტმოდერნული რომანის ზოგიერთი თავისებურება იტალიელი

მოგზაურისა და მწერლის კავკასიური შთაბეჭდილებების მიხედვით;

✓ ,,წიგნებთან გატარებული სიცოცხლე" -(ამბროსი გრიშიკაშვილი, მწერალი, მეცნიერებათა დოქტორი, პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე);

✓ მაყვალა ბერიანიძის წიგნი: „მეფე აიეტი და „ოქრომრავალი კოლხეთი“

საკითხის შესწავლის გეოპოლიტიკური ასპექტები;

✓ სერიიდან: „ქართველი ექიმების პოეტური პულსაცია“ მამუკა

მაჩიტიძის პოეტური კრებული „გზა მიმზერს ორი“

ჩვენს შეხვედრას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გოჩა ოჩიგავას შემოქმედების წარდგენა აფხაზეთზე. მისი შემოქმედება ჩემი აზრით მხოლოდ ისტორიული თხრობად არ უნდა ჩაითვალოს. ის არის მეხსიერების პოლიტიკის, სახელმწიფო ინტერესების, კონფლიქტის კვლევის და კულტურული იდენტობის დაცვის ერთობლივი ანალიზი. დღეს, როდესაც სახელმწიფო ხელს უწყობს ოკუპირებული ტერიტორიების სასწავლად მიმართულ სამეცნიერო პროექტებს და საერთაშორისო ღონისძიებებს, ჩვენც ვთვლით, რომ აუცილებელია ამ პროცესში საკუთარი წვლილი შევიტანოთ.

--ჩვენი ამოცანაა, რომ ეს ღონისძიება გახდეს სივრცე აზროვნებისთვის, ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის და ახალი ინიციატივების გაჩენისთვის

საქართველოსთვის კულტურული უსაფრთხოების სტრატეგიის კონცეფცია

შესავალი

თანამედროვე გლობალიზაციისა და საინფორმაციო ეპოქის პირობებში კულტურული უსაფრთხოება წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესკომპონენტს. საქართველოსთვის, როგორც უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის მატარებელი ქვეყნისათვის, კულტურული უსაფრთხოება განისაზღვრება როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების უნარი შეინარჩუნოს, განავითაროს და დაიცვას საკუთარი ეროვნული იდენტობა, ტრადიციები, ენა, რელიგია და კულტურული მემკვიდრეობა გარე თუ შიდა გამოწვევების ფონზე.ეროვნული უსაფრთხოება მრავალმხრივი და კომპლექსური სისტემაა, რომელიც მოიცავს სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ განზომილებებს. . თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კულტურული უსაფრთხოება იქცა ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად. საქართველოსთვის, როგორც მრავალეთნიკური, მრავალკონფესიური და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე სახელმწიფოსთვის, კულტურული უსაფრთხოების დაცვა პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოებრიობის მდგრადობასა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას.

კულტურული უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ შემოიფარგლება მხოლოდ კულტურის სფეროთი-იგი უშუალოდ უკავშირდება განათლებას, მედიას, ეროვნულ თვითშეგნებას, სოციალურ ინტეგრაციას და სახელმწიფო სუვერენიტეტს.

კულტურული უსაფრთხოების არსი

კულტურული უსაფრთხოება გულისხმობს საზოგადოების კულტურული იდენტობის, ფასეულობების, ენისა და ტრადიციების დაცვას იმ გარე და შიდა ზეწოლისგან, რომელიც შესაძლოა ემუქრებოდეს მათ ტრანსფორმაციას ისეთი ფორმით, რომელიც დაუზიანებს ეროვნული თვითშეგნების საფუძვლებს. იგი მიმართულია კულტურის როგორც თვითმყოფადობის ბირთვის, ისე სოციალური ინტეგრაციის, განათლებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროების დაცვისკენ.

საქართველოს კონტექსტში, კულტურული უსაფრთხოება მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ქართული ენისა და კულტურის მხარდაჭერა როგორც ეროვნული იდენტობის საფუძვლის;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, აღდგენა და თანამედროვე კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება;
- კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება სახელმწიფო ერთიანობის ფარგლებში;
- საინფორმაციო სივრცეში დეზინფორმაციისა და კულტურული მანიპულაციების პრევენცია;
- გლობალიზაციის პირობებში ეროვნული კულტურის ადაპტაცია და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

➢ **საფრთხეების ანალიზი**
  - ✓ გლობალიზაციის გავლენა და კულტურული ასიმილაცია;
  - ✓ დეზინფორმაცია და კულტურული მანიპულაცია;
  - ✓ ენის, ტრადიციების, ხელოვნების დაკარგვის რისკები;
  - ✓ უცხოური კულტურული ექსპანსია

კულტურული უსაფრთხოების გამოწვევები საქართველოში

საქართველოს კულტურულ უსაფრთხოებას თანამედროვე პირობებში რამდენიმე ძირითადი გამოწვევა აქვს:

1. **გლობალიზაცია და კულტურული ჰომოგენიზაცია** — საერთაშორისო მედიისა და ციფრული პლატფორმების გავლენით იმატებს უცხოური კულტურული მოდელების გავლენა, რაც საფრთხეს უქმნის ადგილობრივ კულტურულ თვითმყოფადობას.
2. **ენობრივი ასიმილაციის რისკი** — განსაკუთრებით ახალგაზრდებში უცხოური ენების, განსაკუთრებით ინგლისურის, დომინანტობა ქართული ენის სტრუქტურულ და ფუნქციურ როლს ამცირებს.
3. **ოკუპირებული ტერიტორიების კულტურული ინტეგრაციის საკითხი** — საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ქართული კულტურული მემკვიდრეობის განადგურება და ფალსიფიკაცია წარმოადგენს მიზანმიმართულ პოლიტიკას.
4. **ინფორმაციული ომები და კულტურული მანიპულაცია** — ცრუ ნარატივების გავრცელება საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ მიმართულია ეროვნული თვითშეგნების დეზორგანიზაციისკენ.
5. **ეკონომიკური გამოწვევები კულტურის სფეროში** — არასაკმარისი დაფინანსება და კულტურული პოლიტიკის სისტემურობის ნაკლებობა ამცირებს კულტურის როლს როგორც ეროვნული უსაფრთხოების მექანიზმისა.

სტრატეგიული მიზნები

საქართველოს კულტურული უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარი მიზანია ეროვნული იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი განვითარება, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების კონსოლიდაციასა და ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის გამყარებას.

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

1. **კულტურული იდენტობის განმტკიცება** – ეროვნული განათლების, მედიისა და კულტურის პოლიტიკის მეშვეობით ქართული ფასეულობების პოპულარიზაცია;
2. **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ინტეგრირება თანამედროვე ცხოვრებაში** – კულტურული მემკვიდრეობის მართვის თანამედროვე მექანიზმების დანერგვა;
3. **საინფორმაციო უსაფრთხოება კულტურული სივრცეში** – დეზინფორმაციის წინააღმდეგ მედეგი კულტურული გარემოს ფორმირება;
4. **კულტურული დიპლომატია** – საქართველოს კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაცია და „რბილი ძალის“ ინსტრუმენტად გამოყენება;
5. **რეგიონული და ეთნოკულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერა** – ყველა ეთნიკური ჯგუფის კულტურული იდენტობის პატივისცემა სახელმწიფო ერთიანობის ფარგლებში;
6. **ციფრული კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარება** – ეროვნული კულტურის ხელმისაწვდომობა და ახალგაზრდების ჩართვა თანამედროვე კულტურულ ინოვაციებში

- **სტრატეგიული პრინციპები**
  - ✓ კულტურული სუვერენიტეტი;
  - ✓ ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება;
  - ✓ ინკლუზიურობა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა;
  - ✓ განათლებისა და მედიასივრცის ერთიანობა კულტურული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

- **მოქმედების პრინციპები**
  - **სისტემურობა და ინტეგრირება** — კულტურული უსაფრთხოება უნდა გახდეს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი;
  - **ინკლუზიურობა** — სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ყველა საზოგადოების ჯგუფის ჩართულობას;
  - **განათლებასა და ცნობიერებაზე ორიენტირება** — განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება;

- **საერთაშორისო თანამშრომლობა** — კულტურული უსაფრთხოების განმტკიცება საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობებში აქტიური მონაწილეობით

➢ **მოქმედების მიმართულებები**
  - ✓ განათლება: ეროვნული ისტორიის, ტრადიციებისა და ენის სწავლების გაძლიერება;
  - ✓ მედია: კულტურული კონტენტის შექმნა და ეროვნული მედიის მხარდაჭერა;
  - ✓ კულტურული მემკვიდრეობა:ძეგლების დაცვა/აღდგენა, ფოლკლორის დაცვა/განვითარება/პოპულარიზაცია;
  - ✓ ინოვაციები: თანამედროვე ტექნოლოგიებით ეროვნული კულტურის პოპულარიზაცია;
  - ✓ საერთაშორისო თანამშრომლობა: კულტურული დიპლომატია

➢ **ინსტიტუციური ჩარჩო:**
  - ✓ პასუხისმგებელი უწყებები;
  - ✓ არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური წრეების როლი

7. **შეფასება და მონიტორინგი**
  - ✓ ინდიკატორები კულტურული უსაფრთხოების დონის შესაფასებლად;
  - ✓ პერიოდული ანგარიშები და საჭიროების მიხედვით სტრატეგიის განახლება

დასკვნა

კულტურული უსაფრთხოება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ფუნდამენტური განზომილებაა. მისი დაცვა მოითხოვს სახელმწიფო პოლიტიკის, სამოქალაქო საზოგადოების, განათლებისა და მედიის კოორდინირებულ მოქმედებას.
საქართველოსთვის კულტურული უსაფრთხოების სტრატეგია არა მხოლოდ კულტურის დაცვის მექანიზმია, არამედ ეროვნული კონსოლიდაციის, საერთაშორისო პოზიციონირებისა და დემოკრატიული მდგრადობის გარანტია.

პატივისცემით,

უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის (უსმა)
თავმჯდომარე

ბესიკ ობოლაძე

უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია

ASSOTIATION OF SECURITY RESEARCHERS

მოსაწვევი

შეხვედრა/დისკუსია,
წიგნების წარდგენა

„კულტურული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები“

ღონისძიების გამართვის დრო და ადგილი:

ადგილი: მწერალთა სახლი (მაჩაბელის ქ.13)

თარიღი: 20 ნოემბერი 2025 წელი

დრო: 14:00 -16:00

WWW.USMA.GE